ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

გამომცემლობის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N9.

თარიღი: 27.12.2021 წ.

დადგენილება N23.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N18.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) გამომცემლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.2. გამომცემლობა ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. გამომცემლობის მიზნები და ამოცანები

2.1. გამომცემლობის მიზნები და ამოცანებია: საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს სასწავლო, სამეცნიერო, მეთოდური, საცნობარო ლიტერატურის გამოცემას;

2.2. გაამდიდროს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკოს ფონდი;

2.3. გამომცემლობა თავის საქმიანობას ახორციელებს საჭიროებებიდან გამომდინარე;

2.4. გამომცემლობა თავის სხვა სახის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე;

2.5. გამომცემლობა ანიჭებს ნაშრომს (ISSN) საერთაშორისო სტანდარტულ ნომერს და დასაბეჭდად გადასცემს სტამბას.

მუხლი 3. გამომცემლობის ხელმძღვანელობა

3.1. გამომცემლობას უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;

3.2. გამომცემლობის ხელმძღვანელი წარმართავს გამომცემლობის საქმიანობას;

3.3. წარმოადგენს გამომცემლობას დაკისრებული უფლება - მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია გამომცემლობაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

3.4. გამომცემლობის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის სამსახურს წარუდგენს ანგარიშს გამომცემლობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

3.5. გამომცემლობის ხელმძღვანელი წელიწადში ერთხელ ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს წარუდგენს საჭიროებების შესახებ ანგარიშს.

მუხლი 4. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

4.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

4.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

4.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.